ხელშკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N სშ/18-115

ქ. ბათუმი 08 ოქტომბერი 2018 წელი

ერთის მხრივ **შპს „სანდასუფთავება“** (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით დუმბაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ეკოლაინი“** (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი გაყიდვების მენეჯერის მერი კოპლატაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე–2 მუხლის, „ა“ პუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის კუთვნილი **მაღალი წნევის სარეცხი აპარატი KARCHER-ის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების** (შემდგომში–„მომსახურება“) გაწევა, კერძოდ:

№	საქონლის დასახელება	განზ-ბის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1	მაღალი წნევის სარეცხი დანადგარი KARCHER – ის გამთიშავი სარქველი 4.580-594	ცალი	2	26	52
2	მაღალი წნევის სარეცხი დანადგარი KARCHER – ის ჩამრთველი (მამალი) 6.646-030	ცალი	2	30	60
3	მაღალი წნევის სარეცხი დანადგარი KARCHER – ის ჩამრთველი (დედალი) 0.000-001	ცალი	2	20	40
4	ზეთი 80W90 – 0.000-002	ლიტრი	3	12	36
5	ლულა 4,760 – 660	ცალი	2	250	500
6	მომსახურება				150

კლასიფიკატორი – **CPV50531300.**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **838** (რვაასოცდათვრამეტი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს დღგ–სა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, შესაბამისი სააანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია შპს „სანდასუფთავების“ სამრეცხაო საამქროს უფროსი – მამუკა ზარქუა.

4.3. მომსახურების ვადაა არაუმეტეს 15 დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

6. თანმდევი მომსახურება

6.1. თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შპს „სანდასუფთავების“ სამრეცხაო საამქროს უფროსი – გოჩა დევაძე.

7.2. ინსპექტირების მიზანია გაწეული მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. დაუძლეველი ძალის პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.02 % ოდენობით.

9.2 თუ პირგასამტეხლოს მთლიანი ჯამი გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 %–ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს „სანდასუფთავება“	შპს „ეკოლაინი“
მის: ქ. ბათუმი,	მის: ქ. თბილისი,
ჯავახიშვილის ქუჩა #55	უზნაძის ქუჩა #2
ს/კოდი 245548153	ს/კოდი 204445145
სს „საქართველოს ბანკი“	სს „თიბისი ბანკი“
ბ/კოდი: BAGAGE22	ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა GE57BG0000000524452400	ა/ა GE49TB7014636020100005
შპს „სანდასუფთავება“	შპს „ეკოლაინი“
დირექტორი	გაყიდვების მენეჯერი
დავით დუმბაძე	მერი ჯოხლაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 2018 წლის 08 ოქტომბერი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს „სანდასუფთავებას დირექტორი დავით დუმბაძე და სამრეცხაო საამქროს უფროსი გოჩა დევაძე ვადასტურებთ, რომ შპს „ეკოლაინი"–სთან, მაღალი წნევის სარეცხი აპარატების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვაში, 2018 წლის 08 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №სშ/18-115-ით ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერეთა კონფლიქტს.

შპს „სანდასუფთავება"-ს დირექტორი

დავით დუმბაძე

შპს „სანდასუფთავება"-ს სამრეცხაო საამქროს უფროსი

გოჩა დევაძე